პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 15 მაისი, 1943 წ. № 106 (6731). ფასი 20 კაპ.

ვიმუშაოთ შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით

დიდი სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ომია. მოწოდება „ყველაფერი ფრონტისათვის! ყველაფერი გამარჯვებისათვის!"—ეს არის პროგრამა ჩვენი მოქმედებისა, მთელი ჩვენი ცხოვრებისა იმ სასტიკი განსაცდელის ჟამს, რომელიც წილად ხვდა ჩვენს სამშობლოს.

კიდევ მოგველის გადამწყვეტი ბრძოლები ჰიტლერელ დამპყრობლებთან. საბჭოთა ზურგს, რომელიც წითელ არმიას უქმნის ყველა პირობას მტერზე გასამარჯვებლად, ამჟამად გადიდებული მოთხოვნები წარედგინება. ამ პასუხსაგებ მომენტში მთელმა ჩვენმა ხალხმა საბრძოლო ბრძანებად უნდა მიიღოს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, **„რომ ზურგში ყველა ჩვენი ადამიანი და ყველა დაწესებულება შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით მუშაობდეს".**

ასეულათასობით მუშები, შუშა ქალები, ინჟინრები, მოსამსახურენი, სთვლიან რა თავიანთ თავს შრომითი ფრონტის მებრძოლებად, თავდადებით მუშაობენ თავიანთ პოსტებზე, წმინდად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ფრონტის წინაშე, სამშობლოს წინაშე. სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მილიონობით მონაწილენი გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ და წესიერად ასრულებენ, ზოგჯერ კი გადაჭარბებითაც ასრულებენ მათ. ისინი ამას აღწევენ არა მარტო დაძაბული შრომით, არამედ თავისი მუშაობის ზუსტი ორგანიზაციითაც, საწარმოო პროცესის შეწყობით, ორგანიზებულობით.

მაგრამ წარმოებაში ომის მანძილზე დიდძალი ახალი ადამიანი მოვიდა. ისინი ყველანი როდი არიან სავსებით დისციპლინირებულნი, ორგანიზებულნი, ყველას როდი აქვს სავსებით შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისათვის. ისინი, **ახ**ალგაზრდა მუშები და მუშა ქალები, პირველ რიგში უნდა იყვნენ საქარხნო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იმიტომ, რომ ერთ არასაკმაოდ ორგანიზებულ, ჩამორჩენილ მუშას ზოგჯერ შეუძლია ჩაშალოს მუშაობა მთელი უბნისა, თუ საამქროსი არა. ხოლო საამქრო, სადაც თუნდაც ერთი ხრახნი ვერ არის რიგზე,—ეს უკვე დაზიანებული მექანიზმია, რომელიც გამორიცხავს საწარმოს რიტმულ, შეუფერხებელ მუშაობას.

ამხანაგ სტალინის მითითება შეწყობილი და ზუსტი მუშაობის შესახებ პირდაპირ მიმართულია იმ ჩვენი დაწესებულებებისა, სამმართველო და საწარმოო აპარატებისადმი, რომლებსაც უფრო მეტად, ვიდრე როდისმე, მოეთხოვებათ ოპერატიულობა, გულმოდგინეობა, მოქნილობა, იმის უნარი, რომ სწრაფად გადასწყვიტონ საკითხები და მუდამ ამოწმონ, თუ როგორ სრულდება მიღებული გადაწყვეტილება. სახალხო კომისარიატი, მთავარი სამმართველო, ტრესტი, ქარხნის სამმართველო, ადგილობრივი საბჭოები წარმოადგენენ შტაბებს, რომლებიც ვალდებულნი არიან მოხერხებულად და გონივრულად უხელმძღვანელონ, ვინაიდან უნდა ახსოვდეთ, რომ მათი საქმიანობა განუყრელად დაკავშირებულია ფრონტის ინტერესებთან. ფრონტზე გაცემულ ბრძანებას იღებენ დაუყოვნებლივ შესასრულებლად, და ყოველგვარი დაყოვნება სასტიკად ისჯება. ასე უნდა იყოს დაწესებულებებშიც, რომელთა მუშაკები ასრულებენ წითელი არმიის მომსახურებასთან უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულ ფუნქციებს.

ლენინი მოითხოვდა ომიანობის დროის კანონების მიხედვით გაესამართლებინათ ისეთი ადამიანები, რომლებიც ომის დღეებში მხილებულ იქნებოდნენ სულ მცირედ თავაშვებულობასა და ენერგიის ნაკლებობაში. თავაშვებულობა აპარატში, ბიუროკრატიზმი, დაუდევრობა ამჟამად მიიჩნევა დანაშაულად, ვინაიდან ასუსტებს ფრონტისადმი დახმარების საქმეს. ეს ჯერ კიდევ არ ესმით ზოგიერთ დაწესებულებაში, სადაც სასწრაფო დოკუმენტები ხშირად მთელი კვირეების განმავლობაში „დასეირნობენ" ერთი კანცელარიიდან მეორეში და აფერხებენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებს.

აი ორი ფაქტი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაეგზავნა რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1943 წლის 14 თებერვლის დადგენილება საკერი და ქირურგიული ნემსების წარმოების შესახებ. ამ დადგენილების დიდი მნიშვნელობა გასაგებია. სამკერვალო მრეწველობას, რომელიც წითელ არმიას უქმნის ყველა პირობას მტერზე გასამარჯვებლად, ამჟამად გადიდებული მოთხოვნები წარედგინება. ამ პასუხსაგებ მომენტში მთელმა ჩვენმა ხალხმა საბრძოლო ბრძანებად უნდა მიიღოს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, **„რომ ზურგში ყველა ჩვენი ადამიანი და ყველა დაწესებულება შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით მუშაობდეს".**

ასეულათასობით მუშები, შუშა ქალები, ინჟინრები, მოსამსახურენი, სთვლიან რა თავიანთ თავს შრომითი ფრონტის მებრძოლებად, თავდადებით მუშაობენ თავიანთ პოსტებზე, წმინდად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ფრონტის წინაშე, სამშობლოს წინაშე. სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მილიონობით მონაწილენი გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ და წესიერად ასრულებენ, ზოგჯერ კი გადაჭარბებითაც ასრულებენ მათ. ისინი ამას აღწევენ არა მარტო დაძაბული შრომით, არამედ თავისი მუშაობის ზუსტი ორგანიზაციითაც, საწარმოო პროცესის შეწყობით, ორგანიზებულობით.

მაგრამ წარმოებაში ომის მანძილზე დიდძალი ახალი ადამიანი მოვიდა. ისინი ყველანი როდი არიან სავსებით დისციპლინირებულნი, ორგანიზებულნი, ყველას როდი აქვს სავსებით შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისათვის. ისინი, **ახ**ალგაზრდა მუშები და მუშა ქალები, პირველ რიგში უნდა იყვნენ საქარხნო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იმიტომ, რომ ერთ არასაკმაოდ ორგანიზებულ, ჩამორჩენილ მუშას ზოგჯერ შეუძლია ჩაშალოს მუშაობა მთელი უბნისა, თუ საამქროსი არა. ხოლო საამქრო, სადაც თუნდაც ერთი ხრახნი ვერ არის რიგზე,—ეს უკვე დაზიანებული მექანიზმია, რომელიც გამორიცხავს საწარმოს რიტმულ, შეუფერხებელ მუშაობას.

ამხანაგ სტალინის მითითება შეწყობილი და ზუსტი მუშაობის შესახებ პირდაპირ მიმართულია იმ ჩვენი დაწესებულებებისა, სამმართველო და საწარმოო აპარატებისადმი, რომლებსაც უფრო მეტად, ვიდრე როდისმე, მოეთხოვებათ ოპერატიულობა, გულმოდგინეობა, მოქნილობა, იმის უნარი, რომ სწრაფად გადასწყვიტონ საკითხები და მუდამ ამოწმონ, თუ როგორ სრულდება მიღებული გადაწყვეტილება. სახალხო კომისარიატი, მთავარი სამმართველო, ტრესტი, ქარხნის სამმართველო, ადგილობრივი საბჭოები წარმოადგენენ შტაბებს, რომლებიც ვალდებულნი არიან მოხერხებულად და გონივრულად უხელმძღვანელონ, ვინაიდან უნდა ახსოვდეთ, რომ მათი საქმიანობა განუყრელად დაკავშირებულია ფრონტის ინტერესებთან. ფრონტზე გაცემულ ბრძანებას იღებენ დაუყოვნებლივ შესასრულებლად, და ყოველგვარი დაყოვნება სასტიკად ისჯება. ასე უნდა იყოს დაწესებულებებშიც, რომელთა მუშაკები ასრულებენ წითელი არმიის მომსახურებასთან უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულ ფუნქციებს.

ლენინი მოითხოვდა ომიანობის დროის კანონების მიხედვით გაესამართლებინათ ისეთი ადამიანები, რომლებიც ომის დღეებში მხილებულ იქნებოდნენ სულ მცირედ თავაშვებულობასა და ენერგიის ნაკლებობაში. თავაშვებულობა აპარატში, ბიუროკრატიზმი, დაუდევრობა ამჟამად მიიჩნევა დანაშაულად, ვინაიდან ასუსტებს ფრონტისადმი დახმარების საქმეს. ეს ჯერ კიდევ არ ესმით ზოგიერთ დაწესებულებაში, სადაც სასწრაფო დოკუმენტები ხშირად მთელი კვირეების განმავლობაში „დასეირნობენ" ერთი კანცელარიიდან მეორეში და აფერხებენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებს.

აი ორი ფაქტი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაეგზავნა რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1943

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 მაისის დილის ცნობა

13 მაისის ღამის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში ჩასძირა მოწინააღმდეგის 2 ტრანსპორტი და 2 ტრალერი.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა დაანგრიეს მტრის რამდენიმე ათეული ძელმაწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპეს 5 ქვემეხი, 13 ავტომანქანა ტვირთიანად და ააფეთქეს საომარი მასალების საწყობი. გერმანელთა რაზმი ცდილობდა დაეზვერა ჩვენი პოზიციები. ტყვიამფრქვევის ცეცხლითა და თოფის ზალპური სროლით საბჭოთა მებრძოლებმა გაჟლიტეს 40 ჰიტლერელი. დანარჩენმა გერმანელმა ჯარისკაცებმა სწრაფად დაიხიეს უკან.

გუშინ დღის განმავლობაში ყუბანში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 11 თვითმფრინავი. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა მოსპეს 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მფრინავებმა დაამტვრიეს მოწინააღმდეგის 40 სარკინიგზო ვაგონი და აფეთქეს 2 საწყობი საწვავიანად. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია გერმანელთა თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-190".

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენი ქვეგანაყოფნი აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და თავიანთი პოზიციები გაიუმჯობესეს. მოწინააღმდეგემ რამდენიმე კონტრიერიში ნოტანა, მაგრამ უკუგდებულ იქნა. მოსპობილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. უკანასკნელ ბრძოლებში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 8 ქვემეხი, 42 ტყვიამფრქვევი, 82 ავტომატი, 5 ნაღმსატყორცნი, 250-ზე მეტი შაშხანა და სხვა დავლა.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის აღალზე. გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია 100-ზე მეტი საზიდარი ტვირთიანად. ამ ქვეგანაყოფის ნაღმმტყორცნელებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ზუბანოვი, ორი დღის განმავლობაში მოსპეს ჰიტლერელთა ერთ ასეულამდე ჯარი, დაანგრიეს მოწინააღმდეგის 2 ბლინდაჟი და ჩაახშეს 6 სატყვიამფრქვევო წერტის ცეცხლი.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება როვნოს ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმის მეთაურის, ამხ. ვ-ს დღიურის მოკლე ამონაწერები.

„1 მაისი. დღესასწაული ჩვენ აღვნიშნეთ რკინიგზის სადგურზე თავდასხმით. გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლა მტრის გარნიზონთან. პარტიზანები, ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, მამაცურად ებრძოდნენ ჰიტლერელებს. გაჟლეტილია 65 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, აფეთქებულია საწყობი საომარ ქონებიანად.

3 მაისი. მენაღმეთა ჯგუფმა დღეს ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო ეშელონი.

4 მაისი. გლეხებმა გვიამბეს, რომ გუშინ აფეთქებული მატარებლის დამტვრეული ვაგონების ნამსხვრევებიდან გერმანელებმა 80 თავიანთი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი ამოიღეს".

ყუბანში, ბრძოლის ველზე ნაპოვნია სეევრინის მაზრის სოფლის კომუნისტის (რუმინეთი) მცხოვრების, ვიოლა—მარიამ სგირჩიუს წერილი რუმინელთა 94-ე პოლკის მე-5 ასეულის სერჟანტ მარტინ ვილიამისადმი. წერილში ნათქვამია: „არც ერთ ჩემს შეკითხვაზე, თუ რა ბედი ეწია ჩემს ქმარს, დღემდე არავითარი პასუხი არ მიმიღია. ვიყავი ბუქარესტში, სამხედრო სამინისტროში და წითელი ჯვრის საზოგადოებაში. ათასობით ბავშვებიანი ქალები გარს ეხვევიან ამ დაწესებულებებს დილიდან ღამემდე, მაგრამ ვერაფერს ვერ აწყობენ. აქ დაიინებით დედის ხმები, რომ დივიზია, რომელშიც ჩემი ქმარი მსახურობდა, და ყველა დივიზია და პოლკი, რომლებიც კი ვოლგასთან და დონთან იმყოფებოდნენ, მთლიანად მოსპობილია. მაშ რატომ ატყუებენ ასე საზიზღრად ხალხს და რატომ გვიმალავენ ამ საშინელ სიმართლეს".

* * *

მიღებულია ცნობები ფრანგ თავისუფალ მსროლელთა ზოგიერთი რაზმის მოქმედების შესახებ. აპრილში თავისუფალმა მსროლელებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 180 ორთქლმავალი, მოსპეს 1.200 ვაგონი სამხედრო ქონებიანად და რამდენიმე ასეული ცარიელი ვაგონი. პატრიოტებმა ააფეთქეს რკინიგზის 3 ხიდი, გააფუჭეს 450 სამუხრუჭო მექანიზმი და 2 ამწევი ონკანი. აქტიურად მოქმედებენ რკინიგზებზე მენაღმეთა ჯგუფები. ისინი თითქმის ყოველდღე ლიანდაგიდან აგდებენ გერმანელთა ერთ-ორ მატარებელს.

14 მაისის საღამოს ცნობა

14 მაისის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენს ჯარებს ცეცხლითი ბრძოლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი არტილერისტები და ნაღმმტყორცნელები მოწინააღმდეგის სამაგრეებს უშენდნენ. მძიმე ქვემეხის გუნდმა, რომლის მეთაურიც არის სერჟანტი პავლენკო, ყუმბარის პირდაპირი ნოხვედრებით ააფეთქა გერმანელთა საომარი მასალის დიდი საწყობი. ნაღმმტყორცნელებმა ლეიტენანტ კომლენკოს მეთაურობით მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ ოცეულამდე ქვეითი ჯარი და ორი ტყვიამფრქვევი. მფრინავმა სერჟანტმა მიხაილოვმა ბრძოლა გაუმართა მტრის ბომბდამშენს და ორჯერ გატარნა გერმანელთა თვითმფრინავი. „იუნკერს-88" ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოვარდა. ამხ. მიხაილოვი მშვიდობით დაეშვა თავის აეროდრომზე.

ყუბანის ქვემო წელში ჩვენმა რაზმებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს და 100-მდე ჰიტლერელი მოსპეს. წამოღებულია მრავალი შაშხანა, 4 ტყვიამფრქვევი და ნავი საომარ ნასალიანად.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენი მებრძოლები გარს შემოერტყნენ და გაჟლიტეს მოწინააღმდეგის მზვერავთა ჯგუფი 80 კაცის რაოდენობით. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი ნაწილები მტრის პოზიციებს უშენდნენ. დანგრეულია 20 ძელმაწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, აფეთქებულია 3 საწყობი საომარი ნასალა, მოსპობილია 3 ავტომანქანა და რამდენიმე საზიდარი სამხედრო ტვირთი. ერთ უბანზე ჩვენმა მზვერავებმა ააფეთქეს გერმანელთა 3 ძელმაწური საცეცხლე წერტი და ხელთ იგდეს 9 ტყვიამფრქვევი, 10 ავტომატი და 1 რადიოსადგური.

* * *

მოგილიოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა უკანასკნელ ხანს ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 3 სამხედრო ეშელონი. მოსპობილია 3 ორთქლმავალი, 52 ვაგონი და პლატფორმები. პარტიზანთა სხვა ჯგუფი თავს დაესხა საპატიმროს და გერმანელების მიერ დაპატიმრებული 13 საბჭოთა მოქალაქე გაათავისუფლა. კოტოვსკის სახელობის პარტიზანული რაზმის ამფეთქებლებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის ნატარებელი საწვავიანად. დაიწვა 19 ცისტერნი ბენზინი.

* * *

ყუბანში ბრძოლის ველზე აღმოჩენილია გერმანიის 31-ე საარტილერიო პოლკის 1-ლი ბატარეის ობერ-ლეიტენანტ ჰანს პეიის წერილი, რომელსაც იგი ობერ-ლეიტენანტ შუმფ-ბიბერბახს სწერს ბერლინში: „...პირდაპირ არ ძალმიძს აგიწერო, თუ რა ნოხდა აქ. ჩვენ ახლო მანძილზე ბრძოლა გვქონდა და ნე 1 ქვემეხი და 19 კაცი დავკარგე. მე-5 ბატარეამ თავისი ოთხივე ქვემეხი დაჰკარგა; მას 14 კაცი მოუკლეს **და 25** კაცი უკვალოდ დაეკარგა. უკანდახევისას 65 დაჭრილის დატოვება მოგვიხდა. ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე იდიოტობაა. ჩვენი სიცოცხლე ერთ პფენიგადაც კი არა ღირს. რუსები ისეთ ადგილებში ჩნდებიან, სადაც წარმოუდგენელია რომ გამოჩნდნენ".

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელი ფაშისტი ჯალათების ახალ საზარელ მხეცობათა შესახებ. თებერვლისა და მარტის განმავლობაში ჰიტლერელებმა ვიტებსკის ოლქის სურაჟის რაიონის მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა-ყლეტა მოაწყეს. გერმანელებმა მხეცურად აწამეს და დახვრიტეს მრავალი მამაკაცი, ქალი და ბავშვი. ჰიტლერელებმა ძალით გაირეკეს გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე რამდენიმე ათასი კაცი და მოზარდი. ფაშისტთა კატორღას მხოლოდ ისინი გადაურჩნენ, ვინც ტყეებში დიმალნენ.

* * *

გერმანიაში ძალით წაყვანილი უცხოელი მუშები შურს იძიებენ გერმანელ მონათმფლობელებზე, ამტვრევენ ნოწყობილობას, აფუჭებენ ნედლეულს, დივერსიულ აქტებს ახდენენ. ესსენის მახლობლად ფრანგებმა საწვავის ეშელონის მარცხი მოაწყეს. გაჩენილმა ხანძარმა რკინიგზის 14 ცისტერნი მოსპო. რაინის სანაოსნოში ნომუშავე ნორვეგიელებმა და ფრანგებმა ერთ თვეში 3 კატერი და 7 ბუქსირი გამოიყვანეს მწყობრიდან. ბრემენში ბელგიელმა პატრიოტმა ქალმა ცეცხლი წაუკიდა სამხედრო სასტუმროს, სადაც იგი დამლაგებლად მუშაობდა. სასტუმრო მთლიანად დაიწვა. დიუსელდორფის მახლობლად იუგოსლავიელებმა და ფრანგებმა ჩასძირეს გერმანელთა ხომალდი, რომელსაც სამხედრო ტვირთი გადაჰქონდა.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები მოწინააღმდეგის რკინიგზის კვანძებსა, სადგურებსა და აეროდრომებზე

12 და 13 მაისს და 13 მაისს ღამით ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებსა და სადგურებს—ორიოლს, კარაჩევს, მცენსკს, ვოლოსოვოს, ლოზოვაიას, დებალცევოს და სხვებს. ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს აგრეთვე მოწინააღმდეგის რკინიგზის ეშელონები და ავტოკოლონები ტოსნოლიუბანის, ურიცკ-კრასნოე სელოს, სტარაია რუსა-დნოს, ნოვოსოკოლნიკისებეეის, პუსტოშკა-ვიტებსკ-ნეველის, ორიოლ-გლაზუნოვკის, მცენსკ-ორიოლის, ხარკოვ-ბელგოროდის, ხარკოვ-ლოზოვაიას და ბარვენკოვო-სლავიანსკის გზებზე. დაბომბვის შედეგად დამტვრეულია ბევრი ორთქლმავალი, მოსპობილია 300-მდე რკინიგზის ვაგონი და 200-ზე მეტი ავტომანქანა საჭურვლიანად და სამხედრო ტექნიკიანად, აფეთქებულია რამდენიმე საწყობი საწვავი და საომარი მასალა.

განსაკუთრებით ეფექტიანად იქნა დაბომბილი სადგური სნეჟეიკაია ქალაქ ბრიანსკის აღმოსავლეთით და მოწინააღმდეგის საომარი მასალის საწყობები ამ სადგურის რაიონში. სადგურ სნეჟეიკაიაზე შემჩნეულ იქნა რკინიგზის ეშელონების დიდი ხანძრები და აფეთქებანი. საომარი მასალის საწყობების ადგილმდებარეობაშიც შემჩნეულ იქნა ბევრი ხანძარი, რომლებსაც თან სდევდა დიდი ძალის აფეთქება.

ამავე დროს ჩვენი ავიაცია თავს დაესხა მოწინააღმდეგის აეროდრომებს.

საჰაერო ბრძოლებში და აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 72 თვითმფრინავი. საომარი მოქმედებიდან არ დაბრუნებულა ჩვენი 23 თვითმფრინავი.

ლეონიდე რომანოზის-ძე კორნიეცისათვის გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოს ლეონიდე რომანოზის-ძე **კორნიეცს** გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება, რაც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე Ი. სტალინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი Ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 9 მაისი.

წითელი არმიის უფროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების წითელდროშოვანი უმაღლესი სადაზვერვო კურსების უფროსს

ვულოცავ წითელი არმიის უფროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების წითელდროშოვანი უმაღლესი სადაზვერვო კურსების მეთაურთა, უფროსთა, წითელარმიელთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობას 20 წლისთავს, მთავრობის მაღალ ჯილდოებს და ვუსურვებ ახალ წარმატებებს წითელი არმიის მეთაურთა კადრების მომზადების საქმეში.

თავდაცვის სახალხო კომისარი Ი. სტალინი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უფროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების უმაღლესი სადაზვერვო კურსების წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წითელი არმიის უფროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების უმაღლესი სადაზვერვო კურსების 20 წლისთავის აღსანიშნავად, კადრების მომზადებაში ღირსშესანიშნავი წარმატებებისათვის და სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისათვის წითელი არმიის უფროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების უმაღლესი სადაზვერვო კურსები დაჯილდოებულ იქნას **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 7 მაისი.

წითელი არმიის უფროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების წითელდროშოვანი უმაღლესი სადაზვერვო კურსების უფროსთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის დაჯილდოება

წითელი არმიის უფროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების წითელდროშოვანი უმაღლესი სადაზვერვო კურსების 20 წლისთავის აღსანიშნავად, მეთაურთა კადრების მომზადებაში ღირსშესანიშნავი წარმატებებისათვის და სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით — პოლკოვნიკი ევნატე ალექსანდრეს-ძე **ბონდარენკო**, პოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **შერიშევი**;

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 4 კაცი;

„**საპატიო ნიშნის**" ორდენით—4 **კაცი**;

მედლით „**შრომითი წარჩინებისათვის**"—1 **კაცი** (საკდესი).

ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის აზოტის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

აზოტის ქარხნების სიმძლავრეთა გადიდებისა და თავდაცვითი პროდუქციის წარმოების დარგში მთავრობის დავალებათა **სანიმუშოდ** შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით—მეაპარატე გ. პ. არტემოვი, ქარხნის დირექტორი ა. მ. კლიმახინი, ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. ი. რიაბენკო, საამქროს უფროსი ლ. ა. ფედოროვი და სხვები სულ—9 კაცი;

შრომის წითელი დროშის ორდენით—28 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით—41 **კაცი**;

„**საპატიო ნიშნის**" **ორდენით**—98 **კაცი**;

მედლით „**შრომითი მამაცობისათვის**"—102 **კაცი**;

მედლით „**შრომითი წარჩინებისათვის**"—110 **კაცი**. (**საკდესი**).

საუბარი ვანდა ვასილევსკაიასთან და პოლკოვნიკ ზ. ბერლინგთან

(მოსკოვი, „**კომუნისტის**" **საქ. კორესპონდენტისაგან**)

„**კრასნაია ზვეზდა**" **აქვეყნებს** თავისი **კორესპონდენტის** **საუბარს** **პოლონელ** **პატრიოტთა** **კავშირის** **თავმჯდომარესთან** **სსრ** **კავშირში** ვანდა ვასილევსკაიასთან **და** **სსრ** **კავშირში** **შემდგარი** **პოლონური** **დივიზიის** **მეთაურთან** **ზიგმუნდ** **ბერლინგთან.**

ვასილევსკაიას სიტყვით, **პოლონეთის** **სახალხო** გმირის კოსტიუშკოს **სახელობის** **დივიზია** **პოლონური** **იქნება** **არა** **მარტო** **თავისი** **შემადგენლობით,** **არამედ** **თავისი** **არსებითაც.** **ყველა** **მისი** **ოფიცერი** **პოლონელია.** **განკარგულებათა** **გაცემა** **პოლონურ** **ენაზე** **იქნება.** **ჰიმნი** **პოლონურია.** **ჯარისკაცები** **და** **ოფიცრები** **პოლონელი** **ხალხის** **ერთგულების** **ფიცს** **დასდებენ.** **ისინი** **ჩაიცვამენ** **პოლონეთის** **არმიის** **1939** **წლის** **ფორმას,** **პოლონური** **დივიზიის** **დროშა** **იქნება** **ორფერი—თეთრწითელი—პოლონეთის** **ეროვნული** **დროშა.** **დროშაზე** **გამოხატული** **იქნება** **არწივი** **ლიასტთა** **დინასტიის** **პოლონელი** **მეფეების** **ხანისა,** **როდესაც** **პოლონეთი** **ეწეოდა** **ომს** **გერმანელების** **წინააღმდეგ.**

პოლკოვნიკმა **ბერლინგმა** **განაცხადა:** „**ჩვენ** **შევქმნით** **თანამედროვე** **ტექნიკით** **გაძლიერებულ,** **ნაწილობრივ** **მოტორიზებულ** **დივიზიას.** **ჩვენ** **ვღებულობთ** **პირველხარისხოვან** **საჭურველს,** **რომელიც** **დამზადებულია** **საბჭოთა** **ქარხნებში.** **ჩვენი** **მიზანია,** **რაც** **შეიძლება** **მალე** **მოვხვდეთ** **ფრონტზე.** **ბედნიერებად** **მიგვაჩნია** **ბრძოლა** **წითელ** **არმიასთან** **ერთად,** **რომელსაც** **ყველაზე** **ნეტი** **დამსახურება** **მიუძღვის** **ჩვენი** **საერთო** **მტრის** **მოსპობაში.** **უდიდესი** **პატივია** **ბრძოლა** **ისეთი** **უმაღლესი** **მთავარსარდლობის** **ხელმძღვანელობით,** **რომელმაც** **მიაღწია** **ისტორიულ** **გამარჯვებას** **სტალინგრადთან**".

ვ. ყარა-მურზა

ციტრუსოვანთა ხანგრძლივი შენახვის ახალი მეთოდი

მოსკოვი, 12 მაისი (საკდესი). **პლეხანოვის** **სახელობის** **სახალხო** **მეურნეობის** **ინსტიტუტის** **პროფესორმა** **ვ. გ. სპერანსკიმ** 10 **წელიწადზე** **მეტი** **მოანდომა** **ციტრუსოვანთა** **ხანგრძლივი** **შენახვის** **პრობლემაზე** **მუშაობას.** **მან** **შეისწავლა** **დარგვისა** **და** **ზრდის** **პირობების** **გავლენა** **ნაყოფის** **გამძლეობაზე,** **მის** **გემოზე** **და** **კვებითს** **ღირსებებზე.**

პროფესორმა **სპერანსკიმ** **პირველმა** **დააწესა** **ერთიანი** **ტარა** **დიდ** **მანძილზე** **ციტრუსოვანთა** **ვადასაზიდად** **და** **დაამტკიცა,** **რომ** **ტორფს** **განსაკუთრებული** **მნიშვნელობა** **აქვს,** **როგორც** **მანდარინისა** **და** **სხვ.** **შესაფუთავ** **მასალას.** **ამჟამად** **პროფესორმა** **სპერანსკიმ** **დაამთავრა** **კაპიტალური** **მეცნიერული** **ნაშრომი,** **რომელიც** **მიძღვნილია** **ციტრუსოვანთა,** **ყურძნის,** **ვაშლისა** **და** **სხვა** **ნაყოფთა** **ხანგრძლივი** **შენახვის** **ახალი** **მეთოდისადმი** **იმის** **მიხედვით,** **თუ** **რა** **ჯიშისაა** **და** **რა** **ადგილას** **არის** **მოსული** **ეს** **ნაყოფი.** **უმაღლესმა** **საატესტაციო** **კომისიამ** **პროფესორ** **სპერანსკის** **ტექნიკურ** **მეცნიერებათა** **დოქტორის** **მეცნიერული** **ხარისხი** **მიანიჭა.**

მაიორ ა. ჯახიევის დაჯილდოება

(**მოსკოვი,** „**კომუნისტის**" **საქ. კორესპონდენტისაგან**)

გერმანელ **დამპყრობთა** **წინააღმდეგ** **ბრძოლის** **ფრონტზე** **სარდლობის** **საბრძოლო** **დავალებათა** **სანიმუშოდ** **შესრულებისათვის** **და** **ამასთან** **გულადობისა** **და** **მამაცობის** **გამოჩენისათვის** **სსრ** **კავშირის** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **ბრძანებულებით** **მა

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი

გვარდიის მეორე რანგის ექიმი კ. მ. ხოჭოლავა

გვარდიის მეორე რანგის ექიმი კლარა მუხრანის-ასული ხოჭოლავა 1939-1940 წ. თეთრფინელებთან ბრძოლის მონაწილეა. ამ ბრძოლებში გამბედაობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იგი დაჯილდოებულ იქნა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

1940 წლის ზაფხულზე ამხ. ხოჭოლავა თბილისში დაბრუნდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ჩვენს მიწა-წყალზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა შემოჭრისთანავე მან ითხოვა და მოხალისედ წავიდა წითელი არმიის რიგებში.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში იგი მუშაობს იმ გვარდიული შენაერთის ერთ-ერთ ქვეგანაყოფში, რომელსაც გვარდიის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე მეთაურობს. სტალინგრადისათვის გმირულ ბრძოლებში ექიმმა კ. ხოჭოლავამ მრავალჯერ ისახელა თავი, როგორც უშიშარმა და გამბედავმა პატრიოტმა. ხოჭოლავას გმირობისა და თავდადების შესახებ ნრავალსა სწერდნენ ადგილობრივი წითელარმიული საფრონტო გაზეთები. აი ერთ-ერთი შემთხვევა ამხ. კ. ხოჭოლავას საფრონტო თავგადასავლიდან:

— ექიმები, რომლებიც ბრძოლის ველიდან გამოყვანილ დაჭრილ გვარდიელებს სამკურნალო დახმარებას უწევდნენ, სხვადასხვა ბლინდაჟებში იყვნენ გაფანტულნი. იანვრის პირველი რიცხვები იყო, მტრის ავიაციამ აღმოაჩინა ამ ბლინდაჟების ადგილსამყოფელი და დაიწყო მათი განუწყვეტელი დაბომბვა. მტერმა შესძლო რამდენიმე ბლინდაჟის დანგრევა. ისეთი ვითარება იყო, რომ თითქოს შეუძლებელი ხდებოდა აქ დაჭრილების მოყვანა და მათთვის სახელდახელო ქირურგიული დახმარების აღმოჩენა. ბომბები განუწყვეტლივ ცვიოდა და ფაშისტთა ესკადრილიები შეუსვენებლივ სცვლიდნენ ერთმეორეს. სწორედ ამ დროს ბლინდაჟში შემოიყვანეს მძიმედ დაჭრილი მებრძოლი. ბომბს მისთვის ყელი გამოეღადრა. ამ დროს ბომბი ბლინდაჟს დაეცა. ხოჭოლავა გადაეფარა დაჭრილს და ტანით დაუფარა ჭრილობა, რომ შიგ მტვერი არ ჩაცვივნულიყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ხოჭოლავამ დაამთავრა ოპერაცია, რომელიც მტრის ცეცხლქვეშ შეასრულა. დაჭრილი დაღუპვას გადარჩა.

კლარა მუხრანის-ასული ხოჭოლავა დაიბადა ფოთში 1909 წელს. საშუალო და უმაღლესი განათლება მიღებული აქვს თბილისში. დიდხანს მუშაობდა პროფ. კ. ერისთავთან პირველ ქირურგიულ კლინიკაში.

გვარდიის მეორე რანგის ექიმი კ. მ. ხოჭოლავა დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

დ. ლომთაძე

გვარდიის ლეიტენანტი შ. კ. ყავრიშვილი

საინტენდანტო სამსახურის გვარდიის ლეიტენანტი შოთა კონსტანტინეს-ძე ყავრიშვილი დაიბადა ქალ. ბათუმში 1907 წელს მუშის ოჯახში. 1924 წელს წარმატებით დაამთავრა ბათუმის ერთ-ერთი საშუალო სასწავლებელი, ხოლო შემდეგ იგი გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში და სასწავლებლად გაგზავნეს მოლოტოვის სახელობის სამხედრო აკადემიაში, სადაც მან წარმატებით დაამთავრა (1941 წელს) საინტენდანტო დარგი.

სამხედრო აკადემიის დამთავრებისთანავე ამხ. შ. ყავრიშვილი ფრონტზე წავიდა. იგი მონაწილეობდა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში დონის ფრონტზე, ხოლო შემდეგ სტალინგრადთან.

— ზამთარი იწყებოდა,—ამბობს ამხ. ყავრიშვილი,—როცა სტალინგრადის ასაღებად ჰიტლერელებმა გააფთრებული იერიში დაიწყეს ფრონტის იმ უბანზე, სადაც ჩვენი ნაწილი იდგა. მე მაშინ მივიღე და ის იყო მოწინავე ხაზთან მივზიდე მებრძოლებისა და მეთაურებისათვის განკუთვნილი ზამთრის ტანისამოსი. დიდძალი ქონება იყო მაშინ აქ თავმოყრილი. უკვე შეეუდექით ტანისამოსის გაცემას, რომ შევამჩნიეთ გერმანელი მზვერავი-სვავი. იმ წუთსვე მოვისაზრე, რომ დაბრუნდებოდა თუ არა უკან გერმანელთა თვითმფრინავი, რამდენიმე წუთის შემდეგ იგი ჩვენს დასაბომბავად მტრის მთელ ესკადრილიას მოიყვანდა. დავუძახე წითელარმიელებს და მთელი ეს ქონება ახალ ადგილზე გადავზიდეთ და გულდასმით შევინიღბეთ. მართლაც, დიდი ხნის ლოდინი არ დაგვჭირვებია, რომ ჰაერში გამოჩნდნენ „იუნკერსები“ და დაიწყეს იმ ადგილის დაბომბვა, სადაც წინათ ჩვენი ქონება ეწყო. ჩვენ კი ამ დროს შორიდან ვუცქეროდით, თუ როგორ ფუჭად ხარჯავდნენ გერმანელები ბომბებს.

ასეთი მოსაზრებულობის გამო ამხ. შ. ყავრიშვილს ნაწილის სარდლობამ მადლობა გამოუცხადა.

გვარდიის ლეიტენანტმა შ. ყავრიშვილმა სხვა დროსაც გამოამეღავნა საბრძოლო უნარი და მოსაზრებულობა. მან დაღუპვას გადაარჩინა ნაწილის ცხენები, მრავალჯერ იხსნა დაღუპვისაგან ძვირფასი სამხედრო ქონება. სარდლობამ სათანადოდ დააფასა ამხ. ყავრიშვილის საქმიანობა, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, აგრეთვე ამასთან მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა.

დ. ამირანიძე

გვარდიის ლეიტენანტი ვ. მ. ბოგვერაძე

გვარდიის ლეიტენანტი ვლადიმერ მათეს-ძე ბოგვერაძე დაიბადა ქუთაისში 1915 წელს მტვირთავი მუშის ოჯახში. 1935 წელს დაამთავრა ქუთაისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, ხოლო შემდეგ წელიწადს იგი წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. ორი წლის შემდეგ, 1938 წელს, იგი კვლავ დაბრუნდა ქუთაისში, გრძელვადიან შვებულებაში და დაიწყო მუშაობა ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში. საიდანაც შემდეგ ნეორე ქარხანაში გადავიდა.

1941 წლის დეკემბრიდან ამხ. ვ. ბოგვერაძე ფრონტზეა. უკანასკნელ დროს, როცა გაჩაღდა დიდი ბრძოლები სტალინგრადისათვის, ამხ. ბოგვერაძე გვარდიულ ნაწილში გადარიცხეს. აქ მან ბევრჯერ ისახელა თავი, როგორც უნარიანმა და მამაცმა მებრძოლმა, რისთვისაც იგი ნაწილის სარდლობამ უმცროსი სერჟანტობიდან ჯერ უფროს სერჟანტად დააწინაურა, ხოლო შემდეგ უმცროს ლეიტენანტად.

— ერთ-ერთი მაღლობის რაიონში,—გადმოგვცემს ამხ. ბოგვერაძე, — ჰიტლერელებმა დაიწყეს მზადება ჩვენს წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსასვლელად. ჩვენმა სარდლობამ გადასწყვიტა გერმანელებისათვის დაესწრო, უმალ ჩვენ გადავსულიყავით შეტევაზე. ბრძოლის მსვლელობაში ისე მოხდა, რომ ამ უბანზე ჩვენი კავშირგაბმულობა მტერმა მოშალა. მე მაშინ საველე რადიოსადგურის უფროსად ვიყავი. დავალება მომეცა რადიოთი გამება კავშირი წინწაწეულ ჩვენს ქვეგანაყოფთან. მე შევძელი ქვეგანაყოფებთან კავშირის სწრაფად დამყარება, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენი შეტევის წარმატებას და გერმანელთა განზრახვის ჩაფუშვას. ამ შემთხვევის გამო სარდლობამ ჯილდოზე წარმადგინა.

რთულ საბრძოლო ვითარებაში ამხ. ვ. ბოგვერაძის რადიოსადგური კარგად მუშაობდა და შესანიშნავ მომსახურებას უწევდა მებრძოლ ნაწილებს. ნაწილის სარდლობამ ამხ. ბოგვერაძე ლეიტენანტად დააწინაურა და ხელმძღვანელად წარადგინა ჯილდოზე. გვარდიის ლეიტენანტი ვ. მ. ბოგვერაძე დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ლ. რაჰველიძე

გვარდიის უფროსი სერჟანტი ს. მ. ხოფერია

ბორცვზე გერმანელთა სატყვიამფრქვევი წერტილი იყო. ჩვენმა ერთ-ერთმა ქვეგანაყოფმა ბრძანება მიიღო ამ მიმართულებით იერიშ.. ზე გადასულიყო და განედევნა მტერი დაკავებული პოზიციებიდან, მაგრამ შენიღბული გერმანელთა ტყვიამფრქვევი ჩვენს მებრძოლებს ამის საშუალებას არ აძლევდა. წამოდგებოდნენ თუ არა ჩვენი მებრძოლები და დაიწყებდნენ წინსვლას, იმ წუთსვე ატეხდნენ ბრალ მტრის ტყვიამფრქვევი და მებრძოლები იძულებული ხდებოდნენ კვლავ მიწას გართხმოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ გერმანელთა ტყვიამფრქვევმა სროლა შეწყვიტა. როგორი იყო ჩვენი მებრძოლების სიხარული, როდესაც მათ ნახეს, რომ გვარდიის უფროს სერჟანტს ამხ. ს. ხოფერიას მხარზე გადებული მოჰქონდა გერმანელთა ტყვიამფრქვევი და წინ ოთხ ჰიტლერელ მეტყვიამფრქვევეს მოერეკებოდა. ამ შემთხვევის შესახებ ამხ. ს. ხოფერიამ შემდეგი გვიამბო:

— როგორც მზვერავ არტილერისტს, უფროსმა დამაკისრა ამოცანა: გავსულიყავ მტრის განლაგებაში, გამომერკვია მათი საცეცხლე საშუალებათა დისლოკაცია და უფროსისათვის ყველა ეს ცნობა ტელეფონით გადამეცა. მივხოდი დანიშნულ ადგილზე, დავიწყე მტრის განლაგების დაზვერვა და, ჩემდა განსაცვიფრებლად, ჩემგან რამდენიმე მეტრის დაშორებით მიწურიდან გამოშვერილი გერმანელთა შენიღბული ტყვიამფრქვევის ლულა შევნიშნე. ჩემი უკან გამობრუნება დაღუპვას უდრიდა. გადავწყვიტე ჰიტლერელთა ბლინდაჟში შეპრა და ამ მიზნით მათ მიწურთან ჩუმად მივხოხდი. ტყვიამფრქვევი ხელახლა აამოქმედეს ჰიტლერელებმა. ცოტა ვაცალე, და როგორც კი შესწყვიტეს სროლა, ვწვდი ტყვიამფრქვევს ლულაში და რაც ძალი და ღონე მქონდა ამოვწიე ზევით. ტყვიამფრქვევი ამოვათრიე და ოთხი ჰიტლერელი ბლინდაჟში განცვიფრებული დავტოვე. გონსაც არ მოსულიყვნენ ისინი, რომ ავტომატით წავადექი თავს და ოთხივენი ჩვენს შტაბში მოვიყვანე.

ასეთი გაბედულობისათვის გვარდიის უფროსი სერჟანტი სერგი მირიანის-ძე ხოფერია შენაერთის სარდლობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა.

სერგი მირიანის-ძე ხოფერია საკ. კ. პ. (ბ) წევრია. იგი პარტიის რიგებში მიიღეს ფრონტზე გაფთრებული ბრძოლების დროს, როგორც უშიშარი და სხვებისათვის მაგალითის მიმცემი სანიმუშო მებრძოლი. ს. მ. ხოფერია დაიბადა 1920 წელს ლანჩხუთში. საშუალო სასწავლებელი იქვე დაამთავრა, ხოლო შემდეგ სწავლობდა ბათუმის ფიზკულტურის ინსტიტუტში. 1940 წელს ამხ. ს. ხოფერია წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს და მას შემდეგ დღემდე არმიის რიგებშია.

ა. სოჩიგელი

იაროსლაველ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად

თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში

საჩხერე („კომუნისტის“ საკ. კორ.). საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით დასთესეს 700 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. იაროსლავლელთა მოწოდების პასუხად დასთესეს 120 ჰექტარი.

* * *

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა 12 მაისისათვის გეგმის გადამეტებით დასთესეს 150 ჰექტარი სიმინდი, გასასუქებლად დააყენეს 371 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 81 სული ღორი და გამოჰყვეს აგრეთვე 256 ფრთა ქათამი.

ს. ოჩიგავა

* * *

ამბროლაური („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობებმა თავდაცვის ფონდისათვის და გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად დასთესეს 86,2 ჰექტარი მარცვლეული კულტურები, კოლმეურნეობები ასუქებენ 46 სულ მსხვილფეხა რქიან საქონელს, 118 სულ თხასა და ცხვარს, 11 ღორს და 315 ფრთა ქათამს. სოფ. ლიხეთის კოლმეურნეობა „წინსვლამ“ (თავმჯდომარე ა. ტოროშელიძე) დასთესა 4 ჰექტარი და გეგმის გადამეტებით ზრდის 4 სულ საქონელს. სოფ. წესის მე-17 პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. მელაშვილი) დასთესა 5 ჰექტარი და ზრდის 4 სულ საქონელს, ზედა შავრის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ელენე დვალი) კი—3 ჰექტარი და ზრდის 3 სულ საქონელს.

ვ. ვაჩაძე

დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა

წულუკიძე, („კომუნისტის“ საკ. კორ.). 10 მაისს დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. სამუშაოდ გავიდა 8 კოლმეურნეობა, რომლებმაც მოჰკრიფეს 18.253 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. კრეფაზე ორგანიზებულად გავიდნენ წულუკიძის ედანოვის (მოჰკრიფა 555 კილოგრამი ჩაი), კალინინის (322 კილოგრამი), მოლოტოვის, წულუკიძის სახელობის, სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების წევრები.

ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 10 მაისს მოჰკრიფა 2.505 კილოგრამი ჩაი, 11 მაისისათვის საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობებში მოიკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩაბარდა—4.933 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი ფოთოლი მთლიანად პირველი ხარისხისაა.

კ. ცაცუა

დეპეშები

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ცუდეროსმა დეპეშებით მიმართეს ერომანეთს

ვაშინგტონი, 14 მაისი (საკდესი). საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ცუდეროსმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰელს მიულოცა „ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკის შეიარაღებულ ძალთა მიერ ბრწყინვალე ოპერაციების განხორციელება, რასაც შედეგად მოჰყვა უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვება“. ცუდეროსი სთხოვს ჰელს ერწმუნოს, რომ „ბერძენ ხალხს მტკიცედ სწამს მოკავშირეთა გამარჯვება და რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს მოწინააღმდეგის სრული განადგურებისათვის“.

საპასუხო დეპეშაში ჰელი ცუდეროსს სწერს: „წარმატება, რომელსაც მოკავშირეებმა მიაღწიეს ტუნისში, მოწინააღმდეგის თავდაცვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა პუნქტებზე პირდაპირი იერიშის გზას ხსნის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია დავენდოთ ბერძენი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძოს ბრძოლა როგორც ოკუპირებული საბერძნეთის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც მანამდე, სანამ ღერძის სახელმწიფოთა ტირანია სავსებით არ იქნება მოსპობილი“.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 14 მაისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 13 მაისს ინგლისის ბომბდამშენებმა ავიაგანადგურებლების თანხლებით იერიში მიიტანეს დამხარისხებელ სადგურზე ბულონში (ჩრდილოეთ საფრანგეთი) და შერბურის ნავსადგურზე (საფრანგეთი).

ამერიკის თვითმფრინავების თავდასხმა ჩრდილოეთ საფრანგეთზე

ლონდონი, 14 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 13 მაისს დღისით ამერიკის მძიმე ბომბდამშენების დიდი შენაერთი თავს დაესხა ჩრდილოეთ საფრანგეთს. ამ თავდასხმიდან არ დაბრუნებულა მოკავშირეთა 8 თვითმფრინავი. ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მნიშვნელოვან სამრეწველო ობიექტზე და აეროდრომზე.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბერლინსა და რურზე

ლონდონი, 14 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ წუხელ ინგლისის ავიაციის ფრიად დიდმა ძალებმა დაბომბეს ობიექტები რურში, ბერლინსა და ჩეხოსლოვაკიაში. ინგლისის 34 ბომბდამშენი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ინგლისის ფლოტმა იტალიის კუნძულ პანტელერიას დაუშინა

ლონდონი, 14 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ დილადრიან ინგლისის სამხედრო ხომალდებმა პირველად დაუშინეს იტალიის გამაგრებულ კუნძულს სიცილიის სრუტეში—პანტელერიას. იტალიის ნავსადგურისათვის დაშენა 20 წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა და დიდი ნგრევა გამოიწვია. ფლოტის ეს ოპერაცია განხორციელებულ იქნა სამხედრო-საზღვაო ავიაციასთან მჭიდრო თანამოქმედებით.

აუეთქებანი საფრანგეთში

ლონდონი, 14 მაისი (საკდესი). მონპელიეს (სამხრეთ საფრანგეთი) რადიოსადგურმა გადმოსცა, რომ ფრანგმა მუშებმა აფეთქება მოახდინეს ლიონის ქიმიურ ქარხანაში. ზარალი 20 მილიონ ფრანკს აღწევს. აფეთქება მოხდა აგრეთვე შახტ „ანიშში“, ნორის დეპარტამენტში (ოლქში). რადიოსადგური აღნიშნავს, რომ „ეს პირველი კატასტროფა არ არის ჩრდილოეთ საფრანგეთის ქვანახშირის შახტებში“. ასეთივე აფეთქებანი მოხდა ამას წინათ მთელ რიგ სხვა შახტებშიც.

ანაბრების მიღება სახბანკის განყოფილებებში

ძიმდინარე წლის აპრილში სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის რაიონულმა განყოფილებებმა დაიწყეს კერძო პირებისაგან ანაბრების მიღება და ამ ანაბრების მთლიანად ან ნაწილობრივ უკანვე დაბრუნება მოანაბრის პირველი მოთხოვნისთანავე. კერძო პირებისაგან ანაბრების მიღების წესები ითვალისწინებენ ამ უკანასკნელთათვის მთელ რიგ სარგებლიანობას და უკეთესად მომსახურებას. მიღებული ანაბრების მთლიანობა სავსებით გარანტირებულია სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ.

ანაბრების მინიმალური რაოდენობა დაწესებულია სამი ხთასი მანეთის რაოდენობით. შემდეგი შემონატანები კი მიიღება თანხებიან რაოდენობის განუსაზღვრელად. ამასთანავე საჭიროა განვმარტოთ, რომ მოანაბრის სურვილის მიხედვით ბანკი მიიღებს ანაბარს მოთხოვნამდე, ე. ი. ვადის აღუნიშნავად, აგრეთვე პირობით, მიზნობრივი წესით და განსაზღვრული ვადით (ვადიანები). მოთხოვნამდე, პირობით და მიზნობრივ ანაბრებზე ბანკი მოანაბრეს უხდის წლიურად 3 პროცენტს, ვადიან ანაბრებზე კი—5 პროცენტს.

სახელმწიფო ბანკის მოანაბრედ შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, მათ შორის არასრულწლოვანიც.

ანაბრის შემოტანისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი მომენტები: ანაბარი შეიძლება გაიცეს მოანაბრის სრულწლოვანების დადგომის შემდეგ, ან ანაბარი მიეცეს მოანაბრეს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ასეთ ანაბრებს ეწოდება პირობითი ანაბრები. ანაბარი შეიძლება აგრეთვე შემოტანილ იქნას ბანკში განსაზღვრული მიზნით. იმის აღნიშვნით, თუ ვის და რა მდგომარეობაში უნდა მიეცეს ამ ანაბრის ანგარიშიდან თანხები. ასეთ ანაბარს ეწოდება მიზნობრივი ანაბარი. ვადიანი არის ისეთი ანაბარი, რომელიც შემოტანილია განსაზღვრული დროით. ასეთი ანაბარი მიიღება არა ნაკლებ ექვსი თვის ვადით.

სახელმწიფო ბანკში შემოტანილი ყველა ანაბარი, აგრეთვე ან ანაბრებიდან მიღებული შემოსავლები თავისუფლდებიან გადასახადებისაგან. სახბანკის მოანაბრეს შეუძლია თავისი ანაბრიდან განსაზღვრული თანხა გადაურიცხოს სხვა პირს ან ორგანიზაციას. არასრულწლოვან მოანაბრეს შეუძლია დამოუკიდებლად ისარგებლოს თავისი ანაბრებით და მასზე დარიცხული პროცენტებით, თუ აანაბარი შემოტანილია პირადად მის მიერ და თავის სახელზე. მოანაბრეს შეუძლია უანდერძოს თავისი ანაბარი როგორც კერძო პირს, ისე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

კერძო პირებისაგან ანაბრების მიღების ოპერაციების წარმოება ფართო შესაძლებლობას იძლევა მცხოვრებლებისაგან მოზიდულ იქნას სახსრები სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ბანკის მუშაკების საპატიო ამოცანაა ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ჩაანან ამ საქმეში თავისი აქტივი, კოლმეურნეობათა სახბანკის საზოგადოებრივი ინსპექტორები და ამით უზრუნველყონ მოსახლეობისაგან ანაბრების მოზიდვა.

გ. სტვილია

სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი

აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის მებრძოლთა და მეთაურთა საქალაქო კრება

7 მაისს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა ქ. თბილისის საწარმო-დაწესებულებების, საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და თეატრების ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის თვითდაცვის ჯგუფების საქალაქო შეჯიბრების შემაჯამებელი კრება.

კრება გახსნა ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსმა მაიორმა ე. კორძაძემ.

თვითდაცვის ჯგუფების შეჯიბრების შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში კაპიტანი ჩახუნაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეჯიბრებამ ცხადჰყო თვითდაცვის ჯგუფების პირადი შემადგენლობის მომზადება, მათი მონდომებული მუშაობა, საბრძოლო მზადყოფნა, ორგანიზებულობა და თავიანთი საქმის ცოდნა. ომიანობის პერიოდში აღიზარდნენ მრავალი საბჭოთა პატრიოტები, რომლებიც თავიანთი შეუპოვარი მუშაობით ხელს უწყობენ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის საქმის შემდგომ განმტკიცებას. მაგრამ საუკეთესო ჯგუფებთან ერთად არიან ისეთებიც, რომლებსაც აქვთ არსებითი ნაკლოვანებანი, როგორიც არის მაგალითად, მეცადინეობის არასისტემატურად და შაბლონურად ჩატარება, საბრძოლო პირობებთან მათი ნაკლებად დაახლოება და სხვ. ასეთმა ჯგუფებმა უნდა გაუმჯობესონ თავიანთი საბრძოლო მომზადება, მუდამ უნდა იყონ საბრძოლო მზადყოფნაში, ფართოდ გაშალონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, გააძლიერონ ქიმიური თავდაცვისათვის მზადება და სხვ.

ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის თვითდაცვის ჯგუფების მებრძოლებმა და მეთაურებმა, რომლებიც კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ, განაცხადეს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა სანიმუშო სიმაღლეზე დააყენონ თავიანთი ჯგუფების საბრძოლო მზადყოფნა ომიანობის პირობების შესაბამისად, მტკიცედ შეასრულონ ჩვენი დიდი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის 1943 წლის 1 მაისის ბრძანება.

კრებაზე წაკითხულ იქნა თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსის ბრძანება. გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ: ზასულიჩის ქ. № 25 სახლის (ჯგუფის უფროსი ევგენია ხერხეულიძე), № 2 პუშის ქარხნის (ობიექტის უფროსი ამხ. გრიგორიანი). 62-ე სკოლის (ობიექტის უფროსი ამხ. მკრტიჩიანი) და გრიბოედოვის სახელობის თეატრის (ობიექტის უფროსი ამხ. შახ-აზიზოვი) თვითდაცვის ჯგუფებს, რომლებმაც საქალაქო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს. საპატიო სიგელები გადაეცათ: ფიროსმანის ქ. № 27 სახლის, საბჭოთა ქ. № 102 სახლის, თამბაქოს ფაბრიკის, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს კანტორის, მე-18 სკოლის და 101 სკოლის თვითდაცვის ჯგუფებს. გარდა ამისა, სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულ მთელ რიგ ამხანაგებს გამოეცხადა მადლობა.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა ქალაქ თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსი ამხ. კოკლამაზაშვილი.

თესვის გეგმების შესრულება

გორის, რაიონის, კოლმეურნეობებმა 11 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეული, პარკოსანი, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის და ბოსტნეული კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 16.000 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით. აქედან მარცვლეული კულტურები დათესილია 14.879 ჰექტარი—გეგმის 102,7 პროცენტი, შაქრის ჭარხალი—1.015 ჰექტარი, გეგმის 101,5 პროცენტი, კარტოფილი—320 ჰექტარი, გეგმის 109 პროცენტი, ბოსტნეული—428 ჰექტარი, გეგმის 122 პროცენტი. გადასარგავი რჩება 630 ჰექტარი ბოსტნეული და დასათესი 200 ჰექტარი სასილოსე კულტურები. თესვა გრძელდება.

საგაზაფხულო ხვნის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ახალსოფლის, გორისა და შინდისის მტს-ებმა. მიმდინარე გაზაფხულზე დათესა 4.100 ჰექტარით მეტი, ვიდრე ითესებოდა სამამულო ომის დაწყებამდე, და 1.800 ჰექტარით მეტი, ვიდრე დათესა 1942 წელს.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი
გ. მიხანაშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
მ. ბუჯიაშვილი

* * *

ხობის რაიონის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმები მაღალხარისხოვნად და დაწესებულ ვადაზე შეასრულეს. სიმინდი და სოია დათესილია 6.100 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით დათესილია 200 ჰექტარით მეტი სიმინდი.

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანი
ჯიქია
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ჩაჩია

* * *

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა 8 მაისისათვის 116 პროცენტით შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმები. დათესილია 2.412 ჰექტარი. კარტოფილის თესვის გეგმა შესრულებულია 130 პროცენტით. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებაში წინ არიან: ლენინის სახელობის (თავმჯდომარე მ. გორგომაძე) და მოლოტოვის სახელობის (თავმჯდომარე ა. ლეზგიოღლი) კოლმეურნეობები, აგრეთვე კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ (თავმჯდომარე ჯ. დიასამიძე). თავდაცვის ფონდისათვის და ძმური დახმარებისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა დასთესეს 60 ჰექტარი ერთწლიანი კულტურები. სიმინდის თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი
ვ. სანიკიძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
მ. ჟურუბაძე

დაიწყეს შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავება

ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა დაიწყეს შაქრის ჭარხლის პირველი გაფხვიერება (შაროვკა). ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობამ 60 ჰექტარზე უკვე ჩატარა შაქრის ჭარხლის პირველი თინნა. შაქრის ჭარხლის ნათესების გაფხვიერება დაიწყეს აგრეთვე ქვემო ხვედურეთის კოლმეურნეობებმა.

ვ. ინასარიძე

ლექციები ჰ მოხსენებები

17 მაისს, სალამოს 7 საათსა და 30 წუთზე, საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (კაცხოველის ქ. № 5) შესდგება დოცენტ ნ. ი. კანდელაკის ლექცია. თემა: „თამარ მეფის ეპოქა“. ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსტრათი „ბოგდან ხმელნიცკი“.

ბილეთების შეძენა შეიძლება ბიბლიოთეკის რეგისტრატურაში. მთელი შენოსავალი გადაირიცხება წითელარმიელთა ოჯახების დახმარების ფონდში.

თეატრებში

სახოპერა—15 მაისს—„ფაუსტი“, 16 მაისს—დღისით „სევილიელი დალაქი“, საღამოს—„დონ-კიხოტი“. **რუსთაველის სახელობის**—15 მაისს—„ლალატი“, 16 მაისს—დღისით და საღამოს—„სამშობლო“. **მარჯანიშვილის სახელობის**—15 მაისს—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, 16 მაისს—დღისით—„ეშვით ავადმყოფი. საღამოს—„შეფე ერეკლე“. **მუსიკალური კომედიის**—15 მაისს—„არშინ მალალან“, 16 მაისს—დღისით—„არშინ მალალან“, საღამოს—ერთმოქმედებიანი პიესების საღამო. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—15 და 16 მაისს—დღისით და საღამოს—„რომეო და ჯულიეტა“.

კინოებში

რუსთაველის სახ. და **ოქტომბერი**—„კოტოვსკი“, **დამკვრელი**—„სიმღერა სიყვარულზე“, **კომკავშირელი**—„დაბრუნება“, **სპარტაკი**—„დაგვიანებული სასიძო“, **ლუქსემბურგის სახ.**—„ზეცანი“, **კომინტერნი**—„სტალინგრადი“, **26 კომ. სახ.**—„გამანადგურებლები“, **ორჯონიკიძის პარკი**—„ალექსანდრე პარხომენკო“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ამ დღეებში კინოთეატრ „ოქტომბერში“
ახალი ინგლისური ფილმი
„გამარჯვება უღაბნოში“
გერმანია-იტალიის ჯარების განადგურება ეგვიპტე-ლიბიაში ინგლისის მე-8 არმიის მიერ.
არმიის კინო-ფოტოგანყოფილებისა და ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალთა კინო-განყოფილების ნაწარმოები.

**ამ